საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/170 „ 2 " აპრილი 2018 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

მიმდინარე წლის 28 მარტის №5/17141 წერილით სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს წარუდგინა საქართველოს მთავარი პროკურატურის კორესპონდენცია, რომელიც შეეხება სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სარგებლობაში არსებული, ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანი №4-ის მიმდებარედ არსებული 833 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა (ს/კ 01.72.14.094.546) და 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.72.14.094.547) საქართველოს მთავარი პროკურატურისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემას და მოითხოვა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. დღეისათვის არსებული რეალობისა და მოთხოვნილი მიწის ნაკვეთების სამომავლოდ გამოყენების პერსპექტივის გათვალისწინებით, სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული მიწის ნაკვეთების გადაცემა. „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ აღნიშნული ქმედების განხორციელება მოითხოვს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს თანხმობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 ოქტომბრის №302 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის" მე-4 მუხლის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთები სარგებლობის უფლებით გადასცეს საქართველოს მთავარ პროკურატურას.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი